

STUDIES: ARCHAEOLOGY
kvleebi: arqologia

ქიოსური ამფორები კოლხეთში

ქრისტინე შავლაყაძე

თსუ დოქტორანტი, არქეოლოგიის მიმართულება.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ნაქალაქარებსა და სამაროვნებზე მოპოვებულ კერამიკულ ნაკეთობათა დიდ ჯგუფს ამფორები შეადგენს. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია ანტიკურ ეპოქაში აქ არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსივობის დადგენისათვის. ამ მიმართულებით კვლევა ანუ ანალიზი ამფორებისა, როგორც სავაჭრო ურთიერთობების შესწავლის ერთ-ერთი საშუალება თანამედროვე არქეოლოგიის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაციის მესამე ეტაპზე (ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანები) იონიელმა ბერძნებმა (მილეტელები) დაიწყეს დასახლება მის აღმოსავლეთ სანაპიროზე - კოლხეთში [18, გვ. 68; 25; 35, გვ. 119-126; 30; 41, გვ. 223-258]. ბერძნული ახალშენების გაჩენასთან ერთად დაიწყო პროდუქტების მიმოქცევა ამფორებით; ისინი შემოდიოდა ქიოსიდან, ლესბოსიდან, სამოსიდან, თასოსიდან, კლაზომენიდან და სხვა ცენტრებიდან, რომელთა შორის ბევრი ჯერ კიდევ არ არის იდენტიფიცირებული. ამფორებით შემოტანილ პროდუქტებს შორის წამყვანი იყო: ღვინო, ზეთის ზეთი, ხის წებო და ლეღვი [18, გვ. 68; 25; 30; 34, გვ. 86-102].

ღვინო კოლხეთშიც იწარმოებოდა; ყავისფერკეციანი ამფორების წარმოშობის ადგილად სწორედ კოლხეთია მიჩნეული და იგი გავრცელებული იყო რეგიონის გარეთაც. ყავისფერკეციანი ამფორების ყურები ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით: ΔΙΟΣ[ΚΟΥ] საკმაოდ ნათლად მიანიშნებს ღვინის გადატანაზე ანტიკური სოხუმიდან (დიოსკურია) სხვადასხვა მიმართულებით ყირიმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე [1, გვ. 72-74; 24, გვ. 95-96; 35, გვ. 119-126].

ქიოსური ამფორები შავიზღვისპირეთში ბერძნული იმპორტული ამფორების უდიდეს ჯგუფს წარმოადგენს; მათი შემოტანა კოლხეთში ძვ.წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე იწყება და ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში მაქსიმუმს აღწევს [17, გვ. 69; 18, გვ. 68]; ქიოსის შემდეგ მოდის ლესბოსური, თასოსური და სხვა ცენტრების ამფორები [42, გვ. 111-135].

დღეისათვის ქიოსური იმპორტი კოლხეთში მრავალ ძეგლზეა დაფიქსირებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი¹:

¹ სხვადასხვა ძეგლებზე მოცემული ინფორმაცია ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების შესახებ დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ძველიდან ახლისკენ. ყოველ ძეგლზე განხორციელებულია სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების პროცენტული მაჩვენებლის ჩვენების ცდა მოცემული დროის მონაკვეთში ქიოსური ამფორების ხვედრითი წონის უკეთ განსაზღვრისათვის.

ბათუმის ციხე. ბათუმის ციხე მდებარეობს ქალაქ ბათუმის გარეუბანში, მდ. ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე (**ტაბ. I**). **ქიოსური** ამფორები (10-მდე ნატეხის სახით) აღმოჩენილია ძველეს დვ. წ. VII-VI სს-ის მიჯნით დათარიღებულ ფენაში. მათი ზედაპირი დაფარულია სქლად წასმული თეთრი საღებავით და მოხატულია შავი ლაკის ფართო ზოლებით. ერთ-ერთი ამფორის ყურზე წრეში ჩასმული წერტილია გამოსახული. ისინი განეკუთვნებიან უძველეს ბერძნულ იმპორტს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთოდ, ამიერკავკასიაში[12, გვ. 82].

ქიოსური ამფორები გვხვდება, აგრეთვე **ქობულეთ-ფიჭვნარშიც**. იგი მდებარეობს საკურორტო ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით მე-10 კმ-ზე, მდინარეების: ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან (**ტაბ. I**).

ქობულეთ-ფიჭვნარში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე გრძელდებოდა შესწავლილ იქნა სხვადასხვა ნამოსახლარი თუ სამარხეული კომპლექსები, საიდანაც საერთო ჯამში 100-მდე ქიოსური ამფორა გამოვლინდა: 4 – ფიჭვნარის დვ. წ. V ს-ის კოლხური სამაროვნიდან (315 სამარხიდან); 35 – დვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლიდან (250 სამარხიდან); 2 - დვ.წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლიდან (136 სამარხიდან), 30 – დვ.წ. V ს-ის კოლხური ნამოსახლარიდან; ელინისტური ხანის სამაროვანისა და თვითონ ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ქიოსური ამფორების 25 ნიმუში აღმოჩნდა, რომლებიც ასევე დვ.წ. V ს-ით თარიღდება და დამატებით კიდევ 6 ამფორა დვ.წ. IV ს-ეს განეკუთვნება)[8, გვ. 42-64; 39, გვ. 135, იხ. სქოლიო #1].

დვ. წ. V ს-ის მეორე მეოთხედისთვის ფიჭვნარში თანაარსებობს ქიოსური ამფორების სამი სახეობა, რომლებიც წარმოდგენილია როგორც დიდი ზომის (21 ლ. ტევადობის), ასევე მცირე ზომის (10 ლ. ტევადობის) ამფორებით[13, გვ. 62; 9, გვ. 34-38; გვ. 65-68].

დამლიანი² გრაფიტოიანი თუ სხვადასხვა ნიშნიანი ქიოსური ამფორები ფიჭვნარში მხოლოდ ექვს შემთხვევაში დასტურდება: დვ. წ. V საუკუნის ნეკროპოლის #1 სამარხში აღმოჩენილი სხვადასხვა ტევადობის ამფორების ყელზე ამოკაწრულია ერთიანი გრაფიტო, რომელიც პარალელების მიხედვით წაკითხულია, როგორც „ჰერაკლეს“ ან „ჰერაკლის“; ერთ-ერთი ამფორის ყურის ქვედა ბოლოზე დასმულია დამლა, ხოლო #39 სამარხის ამფორის მხარზე გამოსახულ ორი ასოსაგან შემდგარ ლიგატურაში იკითხება სიტყვა *ἔλαιον* (ზეითუნის ზეთი)[22, გვ. 34-35].

ფიჭვნარის სხვადასხვა კომპლექსებიდან სულ მცირე 179 ამფორა მომდინარეობს, რომელთაგან 101 (56,42%) – **ქიოსურია** (თარიღის შესახებ ზემოთ); 29 (16,20%) – **თასოსური** (25 - დვ.წ. V ს; 4 - დვ.წ. IV ს.); 13 (7,26%) – **ჰერაკლეს** (დვ.წ. IV ს.); 5 (2,79%) – **იონიური** (დვ.წ. V ს.); 3 (1,67%) – **მენდეს** (1 - დვ.წ. V ს; 2 - დვ.წ. IV ს.); 1 (0,55%) – **ლესბოსური** (დვ.წ. V ს.); 1 (0,55%) – **სოლოხა II** ტიპის (დვ.წ. IV ს.) და 26 (14,52%) – მათგანის წარმომავლობა დაუდგენელია[9, გვ. 65-68; 10, გვ. 99-100; 11, გვ. 109-124].

ქობულეთ-ფიჭვნარში მაღალი ხარისხის ქიოსური ღვინის ძირითადი მომხმარებლები ბერძნები იყვნენ. ქიოსსა და კოლხეთის ბერძნულ ქალაქებს შორის აშკარა გზები არსებობდა

² ქიოსური ამფორების მხოლოდ მცირე ნაწილია დადამლული. დამლები ისმებოდა ჭურჭლის ერთ ყურზე ან ყელზე. დამლაზე მოცემულია სახელები (ეპონიმის ან ფაბრიკანტის) და ქალაქის ემბლემა - სფინქსი ამფორასთან. ქიოსური ამფორების დადამლვა დვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება და განსაკუთრებით ინტენსიური ხდება დვ. წ. III ს-ში.

და ქიოსურმა პროდუქტებმა ადგილობრივ მოსახლეობამდე ბერძნული ერთეულების გავლით მიაღწია [39, გვ. 135-136].

მომდევნო **ციხისძირი**. მდებარეობს საკურორტო ქალაქ ქობულეთიდან სამხრეთით 9 კმ-ის დაშორებით (**ტაბ. I**).

ციხისძირი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ძეგლზე სხვადასხვა ეპოქის 315 სამარხია გამოვლენილი. ამფორები აქ ხშირად დასაკრძალავადაა გამოყენებული, დანარჩენ შემთხვევებში კი სამარხეული ინვენტარის სახითაა წარმოდგენილი. აქ აღმოჩენილი ქიოსური ამფორები ყელგამობერილი ტიპის განვითარებულ ვარიანტს მიეკუთვნება.

ადრეკლასიკური და ელინისტური ხანის 29 ამფორიდან: 15 - ქიოსურია (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი); 2 - მენდეს (ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი); 5 - ჩრდილო ეგეოსური, საიდანაც 1 - სავარაუდოდ სამოსურია (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი); 7 - პროტოთასოსური და თასოსური (ძვ.წ. V ს.) [22, გვ. 30-34; 5, გვ. 25-30; 6, გვ. 81; გვ. 93-97; 9, გვ. 50-61; 36, გვ. 151-153].

მომდევნო ძეგლი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დადასტურდა არის **ჯვრის მთა**. იგი მდებარეობს აჭარაში; მდ. ყოროლისწყლის ხეობაში (**ტაბ. I**).

ძეგლზე წარმოებული გათხრების შედეგად გამოვლინდა 1 ქიოსური ამფორა, რომელიც ძვ.წ. V ს-ით თარიღდება [21, გვ. 26-31].

სიმაგრე. სიმაგრის ნამოსახლარი მდებარეობს ფოთის აღმოსავლეთით 12-იოდე კმ-ზე, სოფელ საქორქიოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში (**ტაბ. I**).

ნამოსახლარზე აღმოჩენილია არქაული ხანის აღმოსავლურ-ბერძნული ამფორების ძირითადი სახეობანი. ამფორებიდან მხოლოდ ზოგიერთის რაოდენობაა ცნობილი: 8 - ქიოსურია (ძვ. წ. VI ს-ის II ნახევარი) 1 - ლესბოსური (ნაცრისფერკეციანი), 1 - ლესბოსის წრის, 3 - სამოსური და აგრეთვე უცნობი რაოდენობით კლაზომენური, და პროტოთასოსური ტიპები. ყველა ამფორა ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისით თარიღდება [17, გვ. 202; 19, გვ. 43-48; გვ. 63-65; 3, გვ. 9].

ელინისტური ხანის ფენები რიონის ქვემო წელზე რამდენიმე ადგილზეა მიკვლეული. ამათგან განსაკუთებით საინტერესოა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით, დაახლოებით 1 კმ-ის მანძილზე გავლებული #16 თხრილი, რომლიდანაც **სინოპური** ამფორის 1 ძირი და 2 ყური გამოვლინდა [19, გვ. 76-77].

რიონისპირა ნამოსახლარები. რიონის მარცხენა ტერასაზე გაითხარა ერთფენიანი ნამოსახლარები, საიდანაც ბერძნული, იმპორტული ამფორებიც აღმოჩნდა, მათ შორის 3 - **ჭიქისებურძირიანია**; ამფორების პირებისა და ძირების ფრაგმენტები ფორმისა და კეცის შედგენილობის მიხედვით **თასოსურ** და **თასოსის წრის** ამფორებს მოგვაგონებს და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება.

სოფელ ქვემო ჭალადიდში ე.წ. თხინას ტყეში ჯერ კიდევ 1963 წელს მიკვლეულ იქნა ნამოსახლარის კვალი, სადაც **სინოპური** ამფორის ძირი აღმოჩნდა [19, გვ. 63-65; გვ. 73-74].

ქიოსური იმპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად უთუოდ უნდა მივიჩნიოთ **ვანი**. იგი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. სულორის ნაპირას (**ტაბ. I**).

ბერძნული იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში (მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, ციხესულორი, საყანჩია) ანტიკური სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია. იმპორტული საგნების გავრცელება ვანში ერთის მხრივ, წარმოდგენას გვიქმნის ბერძენთა სავაჭრო აქტივობის შესახებ ძველი კოლხეთის ერთ

გარკვეულ რეგიონთან, ხოლო, მეორეს მხრივ, დიდი მნიშვნელობისაა თვითონ ვანის ქვეყნის ისტორიისთვის.

საერთო ჯამში ვანის ნაქალაქარზე გამოვლინდა ამფორების ფრაგმენტები, რომლებიც სულ მცირე 130 ამფორას ეკუთვნის, მათგან: 29 (22,30%) - ქიოსურია³ (1 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი; 2 - ძვ.წ. V ს; 10 - ძვ.წ. IV ს; 16 - ძვ.წ. III-II სს.); 29 (22,30%) - როდოსული (ძვ.წ. III-II სს.); 28 (21,53%) - სინოპური (3 - ძვ.წ. IV-III სს; 25 - ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი); 9 (6,92%) - თასოსის წრის (ძვ.წ. V-IV სს.); 8 (6,15%) - კნიდის (ძვ.წ. III-II სს.); 5 (3,84%) - თასოსური (4 - ძვ.წ. IV ს; 1 - ძვ.წ. IV-III სს.); 4 (3,07%) - კოსის (ძვ.წ. III-II სს.); 4 (3,07%) - ჰერაკლეს (ძვ.წ. IV-III სს.); 3 (2,30%) - სოლოხა I ტიპის (ძვ.წ. IV ს.); 3 (2,30%) - მენდეს (ძვ.წ. V-IV სს.); 2 (1,53%) - ქერსონესის (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი); 1 (0,76%) - ატიკური (ძვ.წ. IV ს.); 1 (0,76%) - ლესბოსური (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო) და 4 (3,07%) - ამფორის წარმომავლობა დაუდგენელია.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს ქიოსური კერამიკული ტარის სისტემატურ იმპორტს ძვ.წ. VI-II სს-ში [4, გვ. 5-10; გვ. 16-18; 38, გვ. 252-253; გვ. 295-296].

ვანის შემოგარენში მდებარე ძეგლებზე (*მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, ციხესულორი, საყანჩია*) თანადროული ბერძნულ ცენტრების ამფორებთან ერთად ქიოსურიც გამოვლინდა. საერთო ჯამში აქ დადასტურებული 117 ამფორიდან 38 - როდოსულია (ძვ.წ. III-II სს.), 36 - სინოპური (36 - ძვ.წ. IV-III სს; 5 - ძვ.წ. III-II სს.), 11 - ქიოსური (2 - ძვ.წ. VI-V სს; 3 - ძვ.წ. V-IV სს; 4 - ძვ.წ. IV-III; 2 - ძვ.წ. III-I სს.), 10 - კოსის (ძვ.წ. III-II სს.), 4 - თასოსური (ძვ.წ. IV-III სს.); 2 - მენდეს (ძვ.წ. IV ს.); 2 - თასოსის წრე (ძვ.წ. IV-III სს.); 2 - კნიდი (ძვ.წ. II ს.); 2 - ნიკანდროსის ჯგუფი (ძვ.წ. II ს.); 1 - პანტიკაპეა (ძვ.წ. IV-III ს.); 1 - სოლოხა I (ძვ.წ. IV-III სს.); 1 - ჰერაკლეა (ძვ.წ. IV-III ს.) და 1 - კორინთული (ძვ.წ. III-II სს.).

ამრიგად, ვანის ნაქალაქარსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბერძნული იმპორტი საკმაოდ მრავალფეროვანია და გვამღევეს საინტერესო მასალას ბერძნული სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიისთვის. ამ ურთიერთობის პირველ ეტაპზე (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი, უფრო კი მისი უკანასკნელი მეოთხედი და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი) აშკარაა აღმოსავლეთ ბერძნული სავაჭრო სახელსწრის აქტიური როლი, თუმც უკვე ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კოლხეთში გზას იკვლევს ატიკური იმპორტიც.

ბერძნული იმპორტის შესწავლა გვიჩვენებს, რომ უკვე ძვ.წ. VI-V სს-დან იგი ვრცელდება ვანის ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე სასოფლო ტერიტორიაზე, რაც იმას მოწმობს, რომ ვანი, რომელიც ამ დროს კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოლქის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა მსხვილი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრისა და პროდუქციის გამანაწილებლის ფუნქციასაც ასრულებდა [4, გვ. 113-116; გვ. 126-132; გვ. 136-140; 27, გვ. 49; 16, გვ. 52].

ყულევი. სოფელი ყულევი მდებარეობს, მდ. ხობის შესართავთან; ქალაქ ხობიდან 18 კმ-ის დაშორებით (ტაბ. I).

1999-2005 წლებში წარმოებული სავსე სამუშაოების დროს აღმოჩენილი იქნა სამი, ერთმანეთთან ახლოს მდებარე ნამოსახლარი, სადაც დაფიქსირდა ბერძნული, იმპორტული ამფორები, რომელთა თარიღი ძვ.წ. VI ს-ის ბოლოდან ძვ.წ. III ს-მდე განსაზღვრულ მონაკვეთში ექცევა.

³ სამ მათგანზე დამლა იყო შემორჩენილი. დამღებზე მოცემულია სახელები: Ἰκεσίω, ἱϋήσιω.

საერთო ჯამში გამოვლინდა 50-მდე ამფორის ფრაგმენტები; თითქმის ყველა ამფორა ცეცხლში მოხვედრის კვალს ატარებს; უადრესი ნიმუშები მომდინარეობს **ლესბოსიდან** და ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება; აქვეა **ქიოსური** (ყელგამობერილი ტიპის), **თასოსური** და **თასოსის წრის** ამფორები; ყველაზე მრავალრიცხოვანია **სინოპური** ამფორები (მათ შორის ორს დამლა ჰქონდა); გარდა აღნიშნული ცენტრებისა აქვეა ამფორების ფრაგმენტები, რომელთა წარმომავლობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ორი ამფორის ფსკერზე დადასტურდა მცენარეული ფისი; პ. დიუპონისა და დ. კაჰარავას მოსაზრებით ეს ამფორები ღვინისთვის იყო განკუთვნილი [20, გვ. 47-49; 40, გვ. 133-134].

საგვიჩიო. საგვიჩიოს ნამოსახლარი ბორცვი მდებარეობს სენაკის რაიონში, რიონ-ფიჩორის ორმდინარეთის დაჭაობებულ, ხშირი ტყით შემოსილ ნაკრძალში (**ტაბ. I**).

მეგლის ცენტრალურ ბორცვზე, რომელიც „ზურგანიშის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ზედაპირიდან 3 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა აღმოსავლეთ ბერძნული ცენტრების ე.წ. „იონიური ჯგუფის“ ამფორების ნატეხები, რომლებიც სავარაუდოდ **ქიოსურია**. ისინი ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

„ზურგანიშიდან“ სამხრეთით, 500 მ-ის დაშორებით მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე გავლებული თხრილიდან მოპოვებულ მასალაში **სინოპური** ამფორების პირ-ყურისა და ქუსლის ნატეხები ჭარბობს. ერთ-ერთი მათგანის ყურზე მოცემული დამლა ძვ.წ. 350-270 წწ-ით თარიღდება. ასევე გვხვდება ე.წ. „სასმისებური“ ძირები. მათი ფორმა ატიკური ამფორების ზემოქმედებით უნდა იყოს გაჩენილი; კიდევ ერთი ანალოგიური ქუსლი აღმოჩნდა მდინარის პირზე გაჭრილ პირველ თხრილში.

ამათ გარდა გვხვდება ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებული **ლესბოსური** ამფორის პირ-ყურის ნატეხი; **თასოსური** ამფორების ქუსლები, **ქიოსური** ამფორების ქუსლები და პირ-ყელის ნატეხები.

ბერძნული პუნქტებიდან მომდინარე ტარის აღმოჩენა მიუთითებს, რომ ფიჩორისპირა ნამოსახლარის სახით საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ხანის ეკონომიკურად ძალზე დაწინაურებულ პუნქტთან [2, გვ. 75-79].

ერგეტა. სოფელი ერგეტა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზუგდიდიდან 27 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭურიის მარჯვენა ნაპირზე (**ტაბ. I**).

ერგეტას დიხაგუძუბაზე აღმოჩნდა ჩაჩისებურძირიანი ქიოსური ამფორის ფრაგმენტები, რომელიც ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება [28, გვ. 185].

შემდეგი განსახილველი პუნქტია **ოჩამჩირე**. იგი მდებარეობს აფხაზეთში, ქალაქ სოხუმიდან სამხრეთით 55 კმ-ის დაშორებით. მდინარეების აძიკვარასა და ღალიძგას შორის (**ტაბ. I**).

ანტიკური ხანის ქალაქის, გიენოსის ნანგრევები ოჩამჩირის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. გიენოსის შესახებ საკმაოდ მწირი წერილობითი და ეპიგრაფიკული წყაროების არსებობის გამო ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას [7, გვ. 79-89; 26, გვ. 341-347; 23, გვ. 98; 33, გვ. 31-34].

გიენოსის ნაქალაქარზე წარმოებული სამუშაოების შედეგად მრავალრიცხოვანი იმპორტული ამფორები გამოვლინდა, რომელთა უმეტესობა ნაქალაქარის III და IV კულტურული ფენებიდან მომდინარეობს: III ფენიდან გამოვლინდა 5 ამფორის ფრაგმენტები, რომელთაგან 1 **ქიოსურია** (ძვ. წ. V-IV სს.), ხოლო 4 მათგანის წარმომავლობა დაუდგენელია; IV ფენიდან კი 13 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, მათგან 7 **ქიოსურია** (ძვ. წ. VI ს-ის

პირველი ნახევარი); 2 – **სამოსური** (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი – V ს.); 1 – **თასოსის წრის** (ძვ. წ. VI ს-ის ბოლო – V ს-ის პირველი მეოთხედი) და 3 უცნობი ცენტრის პროდუქციას ეკუთვნის.

აქ წარმოდგენილი ყელგამობერილი ქიოსური ამფორების პირის კიდეები ყავისფერი საღებავითაა დაფარული. კეცი ღია მოყავისფრო-მონაცრისფრო, შეიცავს დიდი რაოდენობით ქვიშისა და ქარსის მინარევებს[32, გვ. 16-30].

სოხუმი. სოხუმი მდებარეობს აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში, ზღვის სანაპიროზე (ტაბ. I).

ანტიკური ხანის ქალაქი დიოსკურია დაარსებული იქნა მილეტელების მიერ ძვ.წ. VI ს-ის პირველ ნახევარში დღევანდელი სოხუმის ყურის სანაპიროსთან; ძვ.წ. VI-V სს-ში ანტიკურ სამყაროსთან დიოსკურიის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებზე მოწმობს აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული მასალა⁴[24, გვ. 95-96].

ქალაქ სოხუმში სხვადასხვა თხრილების გაჭრისას დადასტურდა ძვ.წ. V-III სს-ით დათარიღებული ამფორების ასეულობით ფრაგმენტი; აქვეა ამფორები, რომლებიც ძვ.წ. III-I სს-ს განეკუთვნება[24, გვ. 23-27; გვ. 188].

საინტერესო მასალები აღმოჩნდა **სოხუმის ციხის** გათხრებისას, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. იმპორტულ ამფორებში გამოიკვლია **ქიოსური** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი; ძვ.წ. IV-II სს.); **თასოსური** (ძვ.წ. IV-II სს.); **სინოპური** (ძვ.წ. IV-II სს.) და **კოსის** (ძვ.წ. II-I სს.) ამფორები[24, გვ. 200; გვ. 208; გვ. 229].

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III ს. დიოსკურიის აღმავლობის ხანაა. ამ პერიოდით დათარიღებული **სინოპური, თასოსური, როდოსული, ჰერაკლესა და კოსის** ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია ახულ-აბასს, გუად-იხუს, ახალი ათონის, აგუძერას, მაჭარა-2-ის და სოხუმის მთის ნამოსახლარებზე[24, გვ. 212-213; გვ. 218-219; 23, გვ. 76-78].

ძვ. წ. III-II სს-ით დათარიღებული სინოპური და **როდოსული** ამფორები გამოვლინდა წითელ შუქურაზე, კაპიტანოვკაზე, ლეჩკოპსკის პლატოზე, გულრიფში, წიბილიუმსა და ფაცხირში[24, გვ. 206; გვ. 215; გვ. 220-222].

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია დიოსკურიის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის – ხორას შესწავლა.

ეშერას ნაქალაქარი მდებარეობს ვერეშაგინას ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოხუმიდან 10 კმ-ის დაშორებით (ტაბ. I). ნაქალაქარზე გამოვლინდა ძვ.წ. VI-I სს-ების კულტურული ფენები.

აღმოჩენილი მასალის მიხედვით ცხადია, რომ დასახლება აქ ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში გაჩნდა; ძვ.წ. V ს. – IV ს-ის პირველ ნახევარში დასახლება ეშერაზე საგრძნობლად გაიზარდა. აღმოჩენებს შორის საკმაოდაა ქიოსური (ძვ. წ. V ს-ით დათარიღებული ამფორების 11 ყური), **ჰერაკლეური** და **სინოპური** ამფორების ფრაგმენტები[24, გვ. 202; 31, გვ. 22; 32, გვ. 31-34].

ეშერას ნაქალაქარიდან მომდინარე ძვ.წ. IV-II სს-ით დათარიღებულ მასალაში გამოიკვლია **სინოპის, კოსის** და **ჰერაკლესა** ამფორების ფრაგმენტები[24, გვ. 209].

ძვ. წ. III ს. – II ს-ის დასაწყისში ეშერას ტერიტორიაზე შეინიშნება ელინიზებული აბორიგენების ფართო შემოსვლა, თუმცაღა სამოსახლო კვლავ ინარჩუნებს თავის ბერძნულ ელფერს. იმპორტულ მასალაში **სინოპური** და **კოსის** ამფორები გამოიკვლია[24, გვ. 230].

⁴ ი. ვორონოვის მიერ აღწერილია ამფორების აღმოჩენის ადგილები, თუმცა არ არის მინიშნება მათი რაოდენობის შესახებ; მიუხედავად ამისა, ეს ინფორმაცია მაინც საგულისხმოა და გვიქმნის წარმოდგენას ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ.

ეშერას ნაქალაქარის სამაროვანი, როგორც ჩანს ბორცვის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სამარხებში ამფორებიც დაფიქსირდა, მათ შორის ერთი კოსის, რომელიც ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის შუა ხანებით თარიღდება[24, გვ. 212; გვ. 217; 29, გვ. 5-13].

დასკვნა. წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქებსა თუ ნამოსახლარებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ საბერძნეთის მრავალ სავაჭრო ცენტრთან. ყველა ამ ქმედებას აწარმოებდნენ ბერძნები, მაგრამ პირველ რიგში ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესიდან გამომდინარე.

არქაული ხანის (ძვ. წ. VII ს-ის ბოლო - ძვ. წ. VI ს.) ბერძნული იმპორტული ამფორები ძლიერ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი მეტწილად ზღვისპირა კოლხურ დასახლებებზე (ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, სიმაგრე, ოჩამჩირე, ეშერა). ამ პერიოდში იმპორტი ხვდება კოლხეთის შიდა რაიონებშიც, საიდანაც გვიანარქაული ხანის ქიოსური და ლესბოსური ამფორების ერთეული ფრაგმენტები გვაქვს (გურიანთა, ვანი, დაბლაგომი).

მომდევნო, კლასიკური ხანის (ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევარი) იმპორტი კოლხეთში უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. მანამდე არსებული ცენტრების გარდა შემოდის ჰერაკლეური, სინოპური, კოსის, სოლოხა I, სოლოხა II და სხვა ცენტრების ამფორებიც. ფართოვდება იმპორტის გავრცელების არეალი და ის მაღალმთიან რეგიონებშიც აღწევს[14, გვ. 24-25; 15, 28-31; 17, გვ. 68; 37, გვ. 63-73].

ელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი) წამყვანი ადგილი როდოსულ და სინოპურ ამფორებს უჭირავთ, მათ შემდეგ მოდის კოსისა და კნიდის ამფორები.

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქიოსური ამფორების იმპორტი ძვ. წ. VII-II საუკუნეებში ასე გამოიყურება: (იხ. ცხრილი 1.)

თარიღი	ქიოსური ამფორების რაოდენობა	მეგლზე დადასტურებული იმპორტული ამფორების რაოდენობა
ძვ. წ. VII-VI სს.	რაოდენობა უცნობია	რაოდენობა უცნობია
ძვ. წ. VI ს-ის I ნახევარი	9	9
ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	8	8
ძვ. წ. VI-V სს.	7	20
ძვ. წ. V ს.	103	142
ძვ. წ. V ს-ის I ნახევარი	15	18
ძვ. წ. V ს-ის II ნახევარი	2	2
ძვ.წ. V-IV სს.	3	21
ძვ.წ. IV ს.	21	52
ძვ.წ. IV-III სს.	1	71
ძვ.წ. III ს.	2	5
ძვ.წ. III-II სს.	5	107
ძვ.წ. II ს.	12	12
სულ	189	468

ცხრილი 1. ქიოსური ამფორები კოლხეთში ძვ.წ. VII-II სს-ში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით მთლიანი ამფორებისა და მათი პროფილირებული ფრაგმენტების მიხედვით შესაძლებელია სულ მცირე 468 ამფორის დათვლა, მათგან: 189 (40,38%) – ქიოსურია.

ქიოსური ამფორების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ არქაული და კლასიკური ხანის ბერძნულ იმპორტულ ამფორებში წამყვანი ადგილი ქიოსურ ამფორებს უჭირავთ და ქიოსური ნაწარმის შემოტანა მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელი ანტიკური ხანის მანძილზე გრძელდებოდა. როგორც ა. კახიძე მიუთითებს სავარაუდოა, რომ ქიოსსა და კოლხეთს შორის უშუალო, პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა [13, გვ. 62].

განხილულ ძეგლებზე დადასტურებული ქიოსური ამფორების რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში არ არის ზუსტი მითითება რაოდენობაზე; საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მრავალ ძეგლზე ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული ფართომასშტაბიანი სამუშაოები და ზოგიერთი, მაგალითად ფასისი ჯერაც არ აღმოჩენილა, რაც აუცილებლად დამატებით ინფორმაციას მოგვცემს კოლხეთში ქიოსის სავაჭრო აქტივობების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, დ., „ძვ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორია დამღების მიხედვით“. *ძიებანი №11*, თბ. 2003.
2. გრიგოლია, გ., „საგვიჩიოს ნამოსახლარი“. *კულტურულ საისტორიო ძიებანი*. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2010.
3. დიუპონი, პ., კაჭარავა, დ., „ფისის მოლესილობის ნაშთები არქაულ ბერძნულ ამფორებზე სიმარის ნამოსახლარიდან. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“. *ძიებანი, დამატებანი I*. თბ. 1999.
4. ვანი. ტ. VII. თბილისი 1983.
5. ვაშაკიძე, ნ., ინაიშვილი, ნ., „გვიანარქაული და კლასიკური ხანის ბერძნული იმპორტი ციხისძირში. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“. *ძიებანი, დამატებანი I*, თბილისი 1999.
6. ინაიშვილი, ნ., *ციხისძირის ახ. წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები*. „მეცნიერება“. თბილისი 1993.
7. კაჭარავა, დ., „შავიზღვისპირეთის ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია“, *ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის პრობლემები*. თბილისი 1998.
8. კახიძე, ა., ვიკერსი, მ., „საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიცია ფიჭვნარში 1998 წელს“. *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები II*, 2002.
9. კახიძე, ა., ვიკერსი, მ., *ფიჭვნარი, ტ. I*, ბათუმი 2004.
10. კახიძე, ა., ვიკერსი, მ., „საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ.)“, *კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარი. ტ. VI*, 2014.
11. კახიძე, ა., კახიძე, ე., „ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ.)“: *აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ. წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლი)*. *ფიჭვნარი. ტ. V*, ბათუმი, ოქსფორდი 2014.
12. კახიძე, ა., *მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის*. თბ. 1964.

13. კახიძე, ა., *ფიჭვნარი, ტ. II*. ბათუმი 2007.
14. კვიციანი, გ., „ბერძნული ვაჭრობა ჩრდილო და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ადგილობრივ საზოგადოებებთან. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა“. *„ძიებანი, დამატებანი“ №I*, თბილისი 1999.
15. ლიჩელი, ვ., „კოლხეთის პალეოეკონომიკის საკითხებისათვის“. კრ. *ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები*, თბილისი 2001.
16. ლიჩელი, ვ., *ძველი ვანი სამეურნეო უბანი*. თბილისი 1991.
17. ლორთქიფანიძე, ოთ., *ანტიკური არქეოლოგია*. თბ. 1971.
18. ლორთქიფანიძე, ოთ., *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი*. თბ. 1966.
19. მიქელაძე, თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. *კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. I*, თბილისი 1978.
20. პაპუაშვილი, რ., „არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წლებში. შავი ზღვისპირეთი არქაულსა და კლასიკურ ხანაში Πόλις Ἐλληνίς და Πόλις Βάρβαρον“. *ძიებანი, დამატებანი*, №VIII, თბილისი 2002.
21. სურმანიძე, ნ., „ანტიკური ხანის ნამოსახლარი ჯვრის მთაზე“. *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი შრომები*, №V, თბილისი 2013.
22. ხალვაში, მ., „ქიოსური ამფორები: ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქიოსთან ურთიერთობის საკითხისათვის (სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოს მონაცემების მიხედვით)“. *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები*, №III, ბათუმი 2005.
23. Воронов, Ю. Н., *Археологическая Карта Абхазии*. Сухуми 1969.
24. Воронов, Ю. Н., *Научные Труды. Том. IV*, Сухум 2014.
25. *Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой греческой колонизации ...* Тбилиси 1981.
26. Квирквелия, Т. Г., „Очамчире и его окружение в VIII-V вв. до н. э“. *Демографическая Ситуация в причерноморье в период великой Греческой Колонизации*, 1979.
27. Кигურაძე, ი., *დაპნარსკი მთაწილი*. ტბ. 1974.
28. Куфтин, Б., „Амфорное доннышко классической Эпохи“. *Материалы к археологии Колхиды. Том II*, ტბ. 1950.
29. Куфтин, Б. А. Б., „Материалы к Археологии Колхиды“, *Том I*. Тбилиси 1949.
30. *Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья*, Цхалтубო, 1977, 1979.
31. Шамба, Г. К., *Эшерское Городище*, 1980.
32. Шамба, К., Шамба, С. М., „Раскопки башни №5 на Эшерском городище“. *Археологические открытия в Абхазии 1986-1987 гг.*, 1987.
33. Шамба, С. М., „Раскопки на городище Гюэнос“. *Археологические открытия в Абхазии 1986-1987 гг.*, 1987.
34. Bouzek, J. „The Distribution of Archaic Greek pottery and the Greek colonization“. *Studies of Greek Pottery in the Black Sea Area*. Prague 1990.
35. Braund, D. „Amphorae in the Eastern Black Sea: Contexts of Geography and Exchange“. *Production and Trade of Amphorae in the Black Sea*. Actes de la Table Ronde Internationale de Batoumi et Trabzon, 27-29 Avril 2006. édités par D. Kassab Tezgör et N. Inaishvili. 2010.
36. Inaishvili, N., Vashakidze, N., „Typology and Chronology of Greek, Roman and Early Byzantine amphorae from Petra-Tsikhisdziri“. *Production and Trade of Amphorae in the Black Sea*. Actes de la

Table Ronde Internationale de Batoumi et Trabzon, 27-29 Avril 2006. édités par D. Kassab Tezgör et N. Inaishvili. 2010.

37. Kacharava, D., "Greek Imports of Archaic and Classical Times in Colchis". *Archäologischer Anzeiger*. Deutsches Archäologisches Institut. "Walter de Gruyter Berlin". New York 1995.

38. Kacharava, D., Kvirvelia, G., "Recent archaeological finds on the Upper Terrace of the Vani Site". *Ancient Civilizations from Scythia to Siberia. vol. 14*, NO 3-4, Brill, Leiden 2008.

39. Kakhidze, A., Khalvashi, M., "Chian amphorae at Pichvnari". *Production and Trade of Amphorae in the Black Sea*. Actes de la Table Ronde Internationale de Batoumi et Trabzon, 27-29 Avril 2006. Édités par D. Kassab Tezgör et N. Inaishvili. 2010.

40. Papuashvili, R., "Amphorae from the mouth of Khobi (6th-3rd centuries BC)". *Production and Trade of Amphorae in the Black Sea*. Actes de la Table Ronde Internationale de Batoumi et Trabzon, 27-29 Avril 2006. édités par D. Kassab Tezgör et N. Inaishvili. 2010.

41. Tsetskhladze, G. R., "Greek Colonization of the Eastern Black Sea Littoral (Colchis)". *Dialogues d'Histoire Ancienne*, 18, 2. 1992.

42. Tsetskhladze, G. R., "Greek Penetration of the Black Sea". *The Archaeology of Greek Colonization*. Essays Dedicated to Sir John Boardman. edited by G. R. Tsetskhladze and F. De Angelis. Oxford University Committee for Archaeology. *Monograph 40*, 1994.



Chian Amphorae in Colchis

Christine Shavlakadze

Ph.D. student of Archaeology, Ivane Javakhsishvili Tbilisi State University

Among the ceramic finds from the settlements and cemeteries of the Eastern Black Sea area, one of the biggest groups is represented with amphorae. Their study is important for identifying the trade and economic relations existing in the region in Antiquity. Research with this direction – amphorae, as one of the ways for studying trade relations represents an actual subject in modern archaeology.

On the third stage of the Greek Colonisation of the Black Sea (middle of the 6th c. B.C.) Ionian Greeks (Milesians) began to settle on its Eastern shore – Colchis [28, p. 68; 4; 3, pp. 119-126; 32; 37, pp. 223-258]. Along with the appearance of the first Greek settlements, import of different products with transport amphorae began; they came from Chios, Lesbos, Samos, Thasos, Klazomenae and other centres, among which many are still unidentified. Among the different major products were: wine, olive oil, tree glue and figs [28, p. 68; 4; 32; 2, pp. 86-102].

Wine was produced also in Colchis. The place of provenance of brown clay amphorae is thought to be Colchis and it was diffused around the region. Brown clay amphorae – handles stamped with the letters ΔΙΟΣ[ΚΟΥ] seem to illustrate well enough the shipping of wine from ancient Sukhumi (Dioscuria) to destinations to Crimea and its environs [1, pp. 72-74; 42, pp. 95-96; 3, pp. 119-126].

Chian amphorae in the Black Sea area represent the largest group of Greek imported amphorae. Their distribution in Colchis starts from the border of the 7th-6th cc. B.C. and it reaches a maximum in the 6th-4th cc. B.C. [17, p. 69; 18, p. 68]; after Chian come Lesbian, Thasian and other amphorae [38, pp. 111-135].

Nowadays Chian import in Colchis is traced to many sites; Let us discuss each of them⁵:

Batumis Tsikhe. Batumis Tsikhe is located in the suburb of the city Batumi, on the left bank of the river Khorolistskali (**pl. I**). Chian amphorae (10 fragments) were discovered in the earliest layer of the site, which is dated to the border of the 7th - 6th cc. B.C. Their surface is covered with a thick layer of white paint and is painted with wide bents of black glaze. On the handle of one of the amphorae is a circle with a point in its centre; they belong to the earliest Greek imports not only in Georgia, but, also in the Transcaucasus [12, p. 82].

Chian amphorae are discovered also in **Kobulet - Pichvnari**. This place is located on the 10th km to the North of Kobuleti, to the mouth of river Choloki and Ochkhamuri (**pl. I**).

According to the long-scaled archaeological excavations at Kobulet-Pichvnari, which were carried out for many years, different deposits were studied; as a result, in total 100 Chian amphorae were revealed: 4 – from the 5th c. B.C. Colchian cemetery (from 315 burials); 35 – from the 5th c. B.C. Greek necropolis (from 250 burials); 2 from the 4th c. B.C. Greek necropolis (from 136 burials), 30

⁵ Information about Chian and other imported amphorae from different sites is given in chronological and regional order from early to late periods. On each site the percentage of other imported amphorae is also given for a better representation of the portion of Chian amphorae.

from the 5th c. B.C. Colchian settlement; From the territory of the Hellenistic cemetery and Pichvnari site – 25 amphorae dated to the 5th c. B.C; and finally 6 are dated to the 4th c. B.C.[16, pp. 42 - 64; 15, p. 135, see. reference 1].

By the second quarter of the 5th c. B.C. three types of Chian amphorae co-exist in Pichvnari; among them some are large (21 litres capacity), others small (10 litres capacity) in size[13, p. 62; 17, pp. 34 - 38; pp. 65 - 68].

